საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

510-01-02-2-201603021327

N 01-02/510
02/03/2016

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის

დირექტორს ბატონ გიორგი კლდიაშვილს

ბატონო გიორგი,

საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში 2016 წლის 8 თებერვალს (ცესკოში რეგისტრაციის N306) შემოსული თქვენი 2016 წლის 4 თებერვლის წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ იდენტიფიცირებულ ,,ამომრჩეველთა სტატისტიკურ მონაცემთა ბაზა", ცესკოს აღნიშნული სახით არ გააჩნია. ცესკოს აქვს საკუთარი ღია პორტალი - www.cesko.ge, სადაც უზრუნველყოფილია „დეტალური სტატისტიკური მონაცემების წარმოება და მონაცემთა ფორმატში საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობა".

ამასთანავე, მიმდინარე წელს ცესკოს დაგეგმილი აქვს ღონისძიებები საჩივრების რეესტრის მოდიფიკაციის მიზნით, მეტი გამჭვირვალობის, საზოგადოებისათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებისა და, ამასთანავე, მომჩივანთა თუ სხვა დაინტერესებულ მხარეთა პერსონალური მონაცემების დაცვის მიმართულებით, რამაც იმავდროულად შესაძლებელია გამოიწვიოს ცვლილებების განხორციელება ცესკოს სამართლებრივ აქტებში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაგეგმილი ცვლილებების დასრულებამდე, ცესკო მოკლებულია შესაძლებლობას, განიხილოს თქვენს მიერ შემოთავაზებული რეკომენდაცია.

პატივისცემით,

თამარ ჟვანია

კომისიის თავმჯდომარე

დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ, 0131, თბილისი, საქართველო

www.cesko.ge correspodence@cec.gov.ge

(995 32) 2 510051